ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლა

მისია

შეიქმნას კეთილგანწყობილი ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიყვარულის მომცველი გარემო პირობები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მომავალი თაობის აღზრდისათვის,რომელსაც შეეძლება თავისი ქვეყნის ინტერესების ტრადიციებისა და მომავლის წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრება .

ხელი შეუწყოს სკოლის განვითარების ორიენტირებას სწავლის/სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.

დაწყებითი საფეხურის მისია

ა) საგანთა თანმიმდევრული სწავლა/სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

ბ) საბაზისო უნარების- წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისათვის.

საბაზო საფეხურის მისია

საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა/სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა

და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავ;ლის დამოუკუდებელი სწავლის უნარისა

და შრომის უნარიანობის განვითარება, აქტიური, სამშობლოს ერთგული მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.

საშუალო საფეხურის მისია

ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება.

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, თავისი სამშობლოს მოყვარე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური და მაღალი ზნეობრივი, ტრადიციული და სილიერი ღირებულებეის შესაქმნელად.